ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

ENPARD – ძლიერი სოფელი უკეთესი ცხოვრებისთვის

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება
სოფლის განვითარების ხელშეწყობა
სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლება

WWW.ENPARD.GE



ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თვისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 500 მილიონი ევროპელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

შესავალი

სოფლის მეურნეობა, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და ეკონომიკის განვითარების პროცესში, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. საბჭოთა კავშირმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სავალალო მემკვიდრეობა დაუტოვა. თუმცა, ბოლო წლებში, სექტორი ეტაპობრივად ვითარდება.

საქართველოში, მოსახლეობის 42%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობს (საქსტატი). შესაბამისად, ქვეყანაში დასაქმების ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკის გაძლიერებისთვის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარება განსაკუთრებით დროულია ახლა, როდესაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შეთანხმება სრულად ამოქმედდა, ხოლო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თვისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 500 მილიონი ევროპელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

შეთანხმების ფარგლებში, საქართველო იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევის გზით. აღნიშნული ასევე გულისხმობს, სოფლის განვითარების შესახებ ევროპის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის, და მასთან, ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე, ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რაზეც სახელმწიფოს მიერ სექტორის მკვეთრად გაზრდილი დაფინანსება და მიმდინარე რეფორმებიც მეტყველებს. ევროკავშირი საქართველოს სოფლის მეურნეობის ზრდასა და გაძლიერებაში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამით (ENPARD) ეხმარება. ENPARD I, აღნიშნული პროგრამის პირველი ფაზა, 2013 წელს დაიწყო და მისი ბიუჯეტი 52 მილიონ ევროს (დაახლოებით 135 მილიონი ლარი) შეადგენს. 2016 წელს, პროგრამის მეორე ფაზა - ENPARD II ამოქმედდა, რომლის ფარგლებშიც საქართველო ევროკავშირისგან სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის დამატებით 50 მილიონ ევროს (დაახლოებით 130 მილიონი ლარი) დახმარებას მიიღებს.

ENPARD I (2014-2017) – ძირითადი მიღწევები

1. ფერმერთა შორის თანამშრომლობის გაძლიერება
დღეისათვის, საქართველოში, 1600-ზე მეტი ფერმერული კოოპერატივია რეგისტირებული. ისინი მრავალი სახეობის პროდუქციას აწარმოებენ, მათ შორის რძის ნაწარმს, ღვინოს, ბოსტნეულს, თევზსა და თაფლს. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში მოხდა ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა, რომლებიც ფერმერებს საშუალებას აძლევენ გააფართოონ წარმოება და თავი დაიმკვიდრონ ბაზრებზე, რომლებიც მათთვის ადრე არ იყო ხელმისაწვდომი.

2. საკონსულტაციო მომსახურებების გაუმჯობესება
ამ დროისთვის, რაიონულ დონეზე შექმნილია 59 რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. ისინი ფერმერებს საუკეთესო გამოცდილებების, ახალი ტექნოლოგიების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და შესაბამის ტრენინგებს სთავაზობენ.

3. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა
სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი უწყებების საქმიანობა მკვეთრად გაუმჯობესდა და უფრო ეფექტიანი გახდა. სოფლისა და სოფლის მეურნეობის ზრდისა და განვითარებისთვის სამინისტროს ინიციატივით არსებული კანონმდებლობა განახლდა და დაიხვეწა. გარდა ამისა, სამინისტროში ჩამოყალიბდა პოლიტიკის ჯგუფი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებას. ასევე წინგადადგმული ნაბიჯია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დაარსება.

4. სოფლის განვითარების საპილოტე პროექტები
ევროკავშირის მხარდაჭერით, სოფლის განვითარების საპილოტე პროექტები ბორჯომში, ლაგოდეხსა და ყაზბეგში ხორციელდება. მათი მთავარი მიზანია არასასოფლო-სამეურნეო სექტორების გაძლიერება, როგორიცაა ეკო-ტურიზმი, მრეწველობა და მომსახურება; ასევე უმუშევრობის დაძლევა სოფლად, სადაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. სწორედ აღნიშნული საპილოტე პროექტების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა ENPARD-ის მეორე ფაზა, რომლის ფარლებშიც საქართველოში სოფლის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

ფართომასშტაბიან და ნებაყოფლობით კოოპერაციაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა ევროპისთვის უცხო არ არის.

ENPARD II (2016-2020) – შენება მყარ საფუძველზე

პროგრამის მეორე ფაზა, ENPARD II, გააგრძელებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერას 2015-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელების პროცესში. ამ მხრივ, ევროკავშირის მხარდაჭერა, პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებით და საგრანტო პროგრამების დაფინანსებით განხორციელდება.

ENPARD II-ს სამი ძირითადი მიმართულება ექნება: (1) სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება; (2) სოფლის განვითარების ხელშეწყობა; (3) სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლება.

1. სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება

ENPARD II-ის ფარგლებში გაგრძელდება ENPARD I-ის ფაზაში ინიცირებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერა და ტრენინგები. ამ მხრივ, ევროკავშირის დახმარებით, გათვალისწინებულია ფერმერთა მონაცემთა ბაზის შექმნა, სათესლე მასალების სერტიფიცირების სისტემების ჩამოყალიბება, და გარემო პირობებისადმი მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა. მეტიც, პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებით, ENPARD II-ის ფარგლებში გაგრძელდება ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერული კოოპერატივების შექმნისა და მათი მდგრადი განვითარების წახალისება.

ENPARD-ის მიერ მხარდაჭერილი კოოპერატივების მაგალითები

ფართომასშტაბიან და ნებაყოფლობით კოოპერაციაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა ევროპისთვის უცხო არ არის. სწორედ აღნიშნული სახის გაერთიანება აძლევს ფერმერებს ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას და ამცირებს მათ ხარჯებს წარმოების პორცესში საჭირო ტექნიკურ თუ სხვა ტიპის საშუალებებზე. საქართველოში კი თითოეული ფერმერი ინდივიდუალურად მუშაობს საკუთარ მცირე ნაკვეთში, რაც მის დანახარჯებსა და რისკებს მხოლოდ ზრდის. იმისათვის, რომ ევროპული გამოცდილება ქართველმა ფერმერებმაც გაიზიარონ, აუცილებელია იძულებითი კოლექტიური ფერმერული ერთობების, ე.წ. „კოლხოზების“ შესახებ მტკივნეული მოგონებების წარსულში დატოვება.

„საწური“, ღვინის წარმოება შავიზღვისპირეთში

„კოოპერატივის შექმის იდეას ეჭვის თვალით ვუყურებდი, რადგან მსგავსი გაერთიანება საბჭოთა კავშირთან ასოცირდებოდა“- ამბობს ვაჟა დავითაძე, ღვინის მწარმოებელი კოოპერატივის თავმჯდომარე ბათუმიდან, დასავლეთ საქართველოდან. კოოპერატივში 4 წევრი გაერთიანდა და მას ადგილობრივი უნიკალური ჯიშის ვაზის სახელი „საწური“ დაარქვეს. მხარდაჭერამაც არ დააყოვნა: ევროკავშირის გრანტის სახით კოოპერატივმა 24,600 ლარი (≈ € 9,500) მიიღო, რომლის მეშვეობითაც „საწურის“ წევრებმა ყურძნის გადამამუშავებელი და ღვინის ჩამოსასხმელი მოწყობილობები შეიძინეს. წარმოებისა და მარკეტინგის პროცესში შემდგომი ტექნიკური დახმარების მეშვეობით, მათ შეძლეს ხარისხის გაუმჯობესება და რაოდენობრივად მეტი ღვინის დამზადება, რამაც თვალსაჩინო გახადა კოოპერაციის ბიზნეს მოდელის უპირატესობები.

„თაფლი საჩინო“ , მეფუტკრეობა იმერეთში

2015 წლის თებერვალში, პირველადი წარმოების თაფლის ხუთმა კოოპერატივმა, საქართველოს ცენტრალური ნაწილის, ბაღდათისა და ვანის სოფლებიდან, ძალები გააერთიანეს, რათა შეექმნათ მეორე დონის კოოპერატივი (კოოპერატივების მიერ დაფუძნებული კოოპერატივი, რომელიც ღირებულებათა ჯაჭვის შექმნაზეა ორიენტირებული). „მეფუტკრეობა მოითხოვს უამრავ სფეროში გათვითცნობიერებულობას“ - ამბობს მინდია ქავთარაძე, „თაფლი საჩინოს“ თავმჯდომარე. „წევრებს შორის მოვალეობები გადანაწილებულია: ზოგი სკების და სინების დამზადების პროცესში მონაწილეობს, სხვები კი ფუტკრებისა და სკების მოვლით არიან დაკავებულნი. აღნიშნული მიდგომა საქმეს ამარტივებს და წარმოების ხარჯების თითქმის განახევრების საშუალებას გვაძლევს.“ ერთობლივი ძალებით, კოოპერატივის წევრებს, ღირებულებათა ჯაჭვის თითქმის ყველა ეტაპის - წარმოების, გადამუშავების, დაფასოების, დასაწყობებისა და მარკეტინგის - შესაძლებლობა აქვთ. ”თაფლი საჩინოს“, ევროკავშირის მხრიდან, თანადაფინანსების სახით, 200,000 ლარზე მეტი (≈ € 76,600) მატერიალური რესურსი გადაეცა.

ყულიშკარი“, თხილის წარმოება სამეგრელოში

ENPARD-ის მხარდაჭერით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოში არსებული თხილის კოოპერატივის, „ყულიშკარის“ თერთმეტ წევრს, ბიზნესის დაგეგმარებისა და აგრო-ტექნიკის შესახებ გადამზადების კურსი ჩაუტარდა. მათ ასევე გადაეცათ გრანტი 36,432 ლარის (≈ € 14,000) ოდენობით, ტექნიკა-დანადგარების შესაძენად. უმაღლესი ხარისხის ტექნიკურმა საშუალებებმა, როგორიცაა მოძრავი გუთანი და სათესი მანქანა-მოწყობილობები, რომლებიც მათთვის შეღავათიან ფასად იქნა შესყიდული, კოოპერატივის ეფექტიანობა გაზარდა, ხოლო ზარალი და დანახარჯები შეამცირა. დღესდღეობით, „ყულიშკარის“ წევრებს თხილის პლანტაცია 52 ჰექტარზე აქვთ გაშენებული. ეს ერთადერთი კოოპერატივი როდია აღნიშნულ სფეროში. ძალების გაერთიანება ასობით თხილის მცირე მწარმოებელს დაეხმარა პროდუქციის რაოდენობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. დღეისათვის, თხილი ქვეყნის უმსხვილეს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს წარმოადგენს და ის აღნიშნული პარამეტრით ღვინოსაც კი უსწრებს.

© ფოტო: რომან თოლორდავა

2. სოფლის განვითარების ხელშეწყობა

სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ეკონომიკის დივერსიფიკაციას უწყობს ხელს, და ამასთან, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულებასაც ამცირებს. სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ENPARD-ის პროგრამა შესაბამის სამინისტროებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სოფლის ადგილობრივ თემებთან სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობს.

• სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და რეალობაში დანერგვისთვის, ENPARD-ის პროგრამა საქართველოს მთავრობას ტექნიკურ დახმარებას უწევს. სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება, ესენია: კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, და ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია.

სტრატეგია ევროკავშირის მიერ გამოცდილ და მხარდაჭერილ „ლიდერ“-ის (LEADER) მეთოდოლოგიის მიხედვით ხორციელდება, რომელზე დაყრდნობითაც ბორჯომში, ყაზბეგსა და ლაგოდეხში ENPARD I-ის ფარგლებში დაწყებული საპილოტე პროექტები უკვე მიმდინარეობს. „ლიდერ“-ის პრინციპის თანახმად, ყოველ სოფელს განსაკუთრებული შესაძლებლობები და უნიკალური გამოწვევები გააჩნია, რის შესახებაც ყველაზე კარგად ადგილობრივი მოსახლეობისთვისაა ცნობილი. მიდგომა გულისხმობს ე.წ. „ქვემოდან-ზევით“ პრაქტიკის დანერგვას, რომლის თანახმადაც სამოქმედო გეგმისა და გადაწყვეტილებების მიღება პროექტის საბოლოო ბენეფიციარების მონაწილეობით ხდება. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) თემების მობილიზაციას ახდენენ და მათი მონაწილეობით კეთილსაიმედო საპროექტო განაცხადებს დაფინანსებისთვის შეარჩევენ.

ბორჯომის განვითარების ჯგუფი

ლაგოდეხის განვითარების ჯგუფი

ყაზბეგის განვითარების ჯგუფი

სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ეკონომიკის დივერსიფიკაციას უწყობს ხელს, და ამასთან, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულებასაც ამცირებს.

© ფოტო: რომან თოლორდავა

• ***ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები***

ENPARD II მიზნად ისახავს სოფლის განვითარებას და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნას. სოფლებსა და მაღალმთიან ადგილებში, სულაც არ არის აუცილებელი ყველამ ფერმერულ საქმიანობას მიჰყოს ხელი: ევროკავშირის პროგრამა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის მხარდაჭერას და წახალისებას ახდენს; ამასთან პოტენციურ მეწარმეებს საპროექტო წინადადებების ჩამოყალიბებასა და ბიზნეს გეგმის შედგენაში ეხმარება. პროგრამის მხარდაჭერით ასევე გათვალისწინებულია სოფლად არსებული მომსახურებების გაუმჯობესება. ადგილობრივი სერვისები ამჟამად საკმაოდ შეზღუდული ან არასაკმარისია, რაც ეკონომიკის განვითარებას და სოფლად არსებული სიღარიბის დაძლევას აბრკოლებს.

პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით იმოქმედებს, მისი სოფლის განვითარების კონკრეტული პროექტები კი შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება. პროგრამის ფარგლებში სოფლის განვითარების საპილოტე ღონისძიებები აფხაზეთშიც განხორციელდება, ევროკავშირის არაღიარების და ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით. ENPARD-ის პროგრამის მეორე ფაზა ხელს შეუწობს ევროკავშირის ისეთი მიდგომების დანერგვას, როგორიცაა: გენდერული თანასწორობა, გარემოს მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის საკითხები.

3. სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლება

სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში უგულვებელყოფილი იყო. თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების პროცესში, აღნიშნული საკითხი კვლავ საკანონმდებლო დღის წესრიგში დადგა: საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობების სრულად გამოყენებას მხოლოდ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების გზით შეძლებს.

2012 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სურსათის ეროვნული სააგენტო ჩამოაყალიბა. სააგენტო სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფას, ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს. 2013 წელს აღნიშნულმა სააგენტომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი მიიღო. ევროკავშირი სურსათის ეროვნულ სააგენტოს ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების პროგრამით ეხმარება. აღნიშნული პროგრამის საფუძველზე, ENPARD II მთავრობას ლაბორატორიული შესაძლებლობების გაუმჯობესების, სასურსათო უსაფრთხოების და სანიტარული და ფიტოსანიტარული მექანიზმების კონტროლისა და შემოწმების

© ფოტო: რომან თოლორდავა

სტანდარტების დანერგვაშიც შეუწყობს ხელს. ამასთან, მოხდება საზღვარზე არსებული შემოწმებისა და კონტროლის მექანიზმების გაძლიერება, იმპორტირებული და ექსპორტირებული სურსათის სტანდარტების გაუმჯობესება და ფერმერთა წახალისება, რათა მათ აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პროდუქცია აწარმოონ. ფერმერთა მიერ სტანდარტების დაცვა ძალზე მნიშვნელოვანია, მითუმეტეს თუ ისინი პროდუქციის გატანას DCFTA-ის მეშვეობით ევროპის ბაზარზე გეგმავენ.

აჭარის აგროსერვის ცენტრი ქობულეთში - შეწამლვის პროცესი

ქობულეთის სანერგე მეურნეობაში, ვაზისა და ხეხილის ჯიშებზე სასოფლო-სამეურნეო და ბიოლოგიურ თავისებურებებზე ფენოლოგიური დაკვირვების პორცესი

პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით იმოქმედებს, მისი სოფლის განვითარების კონკრეტული პროექტები კი შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება.

ENPARD II - აქტივობების ჩამონათვალი

ENPARD II-ის საერთო ბიუჯეტი 50 მილიონი ევროა (≈ 130 მილიონი ლარი)

● საბიუჯეტო მხარდაჭერა – 27 მილიონი ევრო (≈ 70 მილიონი ლარი)

1. სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის, კლიმატის ცვლილებებისადმი გამძლეობისა და მდგრადობის ამაღლება

1.1 ფერმერთა მონაცემთა ბაზის შექმნა

1.2 ფერმერული კოოპერატივების განვითარება

1.3 სათესლე მასალების სერთიფიცირების პროცესის განხორციელება

1.4 სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანური რესურსების მართვისა და გადამზადების სისტემების გაუმჯობესება

1.5 სოფლის მეურნეობაში ანალიტიკური შესაძლებლობებისა და მონაცემთა მართვის გაუმჯობესება

1.6 მდგრადი და კლიმატის ცვლილებებისადმი გამძლე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა

2. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, სურსათის უვნებლობისა და სურსათის ხარისხის სტანდარტების და შემოწმებისა და კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება

2.1 ლაბორატორიული შესაძლებლობების და სურსათის უვნებლობის/სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შემოწმებისა და კონტროლის პროცედურების გაუმჯობესება

2.2 სასაზღვრო შემოწმებისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერება და სურსათის იმპორტზე/ექსპორტზე ზედამხედველობის გაუმჯობესება

2.3 ფერმერების მიერ სურსათის უვნებლობის/ხარისხის მართვის გაუმჯობესებული სისტემების შემუშავება

3. ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობით სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლება

3.1 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშესაწყობად სახელმწიფო პროგრამებისა და ინიციატივების განვითარება

3.2 საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მიზნობრივი ღონისძიებების გატარება, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გამოცდილების, პრინციპებისა და სქემების გათვალისწინებით

● დამატებითი მხარდაჭერა - 23 მილიონი ევრო (≈ 60 მილიონი ლარი)

1. სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის, კლიმატის ცვლილებებისადმი გამძლეობისა და მდგრადობის ამაღლება

1.1 სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერა

2. ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობით სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლება

2.1 სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის მხარდასაჭერად სოფლის განვითარების საპილოტე პროექტების განხორციელება

2.2 სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაში ტექნიკური დახმარების გაწევა

2.3 აჭარაში სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში ტექნიკური დახმარების გაწევა

2.4 აფხაზეთში მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის მხარდასაჭერად სოფლის განვითარების საპილოტე პროექტების განხორციელება

© ფოტო: რომან თოლორდავა

www.enpard.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

ENPARD-ის საკომუნიკაციო ქსელი
ფალიაშვილის ქუჩა 84, ბინა 3
0165 თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 222 04 26

WWW.ENPARD.GE

მასალა შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია Action Global Communications და ის არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.